სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №2805/04

(CPV 90911000 - გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრების დაცვით)

ქ. თბილისი

28 მაისი 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი კომისიის თავმჯდომარის კახი ბექაურის სახით და მეორე მხრივ, ფ/პ ,,ნიკოლოზ იმედაშვილი" (შემდგომში მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") -,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.5. „მიმწოდებელი" – ფიზიკური პირი, რომელიც შემსყიდველს აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.6. ,,მიღება-ჩაბარების აქტი" - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება მომსახურების მიღების შემდეგ.

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელი განახორციელებს შემსყიდველის ადმინისტრაციული შენობის გარე ფასადის (მინების) წმენდას, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის მიღებული მომსახურების საფასურს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 937.50 (ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ღირებულება

4.1. მომსახურების დასახელება და რაოდენობა - შემსყიდველის ადმინისტრაციულ შენობის გარე ფასადის წმენდა (750 კვ.მ), ერთეულის ღირებულება შეადგენს 1.25 (ერთი ლარი და ოცდახუთი თეთრი).
4.2. მომსახურების ღირებულება - 937.50 (ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მომსახურების მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

6. მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები

6.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდვლისთვის მომსახურების მიწოდებას 2019 წლის 10 ივნისის ჩათვლით.
6.2. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. სტანდარტები და გარანტია

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება.
7.2. მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ უსაფრთხოების ნორმებსა და სტანდარტებს.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი მომსახურების დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
7.4. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები დეფექტის ან ნაკლის გამოსწორებისათვის და მიმწოდებელს მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;
8.1.2. მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიღებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
8.2.2. უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება სრული მოცულობით.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) და შემოწმება.

9.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეამოწმოს მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის (ინსპექტირების) და შემოწმების განხორციელების უფლება ენიჭება შემსყიდველის ადმინისტრაციის სამეურნეო

უზრუნველყოფის ჯგუფის უფროს რევაზ მორგოშიას, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.
9.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება შემსყიდველის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროს რევაზ მორგოშიას, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;
10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
11.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ;
11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
11.5. შემსყიდველს, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ასევე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
11.6. ამ მუხლის 11.5. პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;
12.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

13. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით;
14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ;
14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის გადასაწყვეტად მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი, ხელშეკრულების ვიზირებაზე ხელისმომწერი პირები და მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მაკონტროლებელი პირები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია'' მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18 საიდ. კოდი: 204953050 სს ,,თი ბი სი ბანკი" ბანკის კოდი: 220101830 ა/ა: GE11TB0600000000609326	ფ/პ ,,ნიკოლოზ იმედაშვილი" პირადი ნომ: 01024019105 სს ,,პროკრედიტ ბანკი" ა/ა: GE06PC0183600100016536

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

ნიკოლოზ იმედაშვილი

ქ. თბილისი

29 მაისი 2018 წელი

მიღება - ჩაბარების აქტი

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიასა" (შემდგომში „კომისია") და ფ/პ „ნიკოლოზ იმედაშვილს" შორის, 2018 წლის 28 მაისს გაფორმებული N 2805/04 ხელშეკრულების შესაბამისად, ერთი მხრივ კომისიის აპარატის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსმა რევაზ მორგოშიამ ჩაიბარა, ხოლო მეორე მხრივ ფ/პ „ნიკოლოზ იმედაშვილმა" ჩააბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხელშეკრულების 6.1 მუხლით დადგენილ ვადაში, ღირებულებით 937.50 (ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი).

ჩააბარა

ფ/პ „ნიკოლოზ იმედაშვილი"

ჩაიბარა

კომისიის მხრიდან